მომხს: გ. ენუქიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„-----“ ივნისი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 09/03/2020, 010250050.35.163.016500).

1. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში (თეთრიწყლების ადმინისტრაციული ერთეული სრულად და სოფელი ლეჩური) მუდმივად მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარების ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში, კერძოდ, თეთრიწყლების ადმინისტრაციული ერთეულში შემავალ სოფლებში (თეთრიწყლები, კობაძე, სეროდანი, პანტიანი, ნადიკვარი) და სოფელ ლეჩურში მუდმივად მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარებას. დახმარება გაიცემა ყოველთვიურად ტალონების სახით. თითოეულ ოჯახს ყოველთვე გადაეცემა თითო ტალონი, რომლის მეშვეობით მიმწოდებელი კომპანიისგან ერთჯერადად მიიღებს თხევად აირს **15 ლიტრის** ოდენობით. ტალონების გადაცემას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოფენ მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ა) ქვეპროგრამით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა.ა) განცხადება ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე;

ა.ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

ა.გ) მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის საკითხს.

ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს „გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში (თეთრიწყლების ადმინისტრაციული ერთეული სრულად და სოფელი ლეჩური) მუდმივად მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარების ქვეპროგრამის“ ამოქმედებისათვის ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრა.

მოქმედი რედაქციით ქვეპროგრამა ითვალისწინებს თითოეული ოჯახისათვის ყოველთვიურად თითო ტალონის გადაცემას, რომლითაც მიმწოდებელი კომპანიისგან ერთჯერადად უნდა მიეღოთ 8 კგ. ოდენობით თხევადი აირი. როგორც შემდგომ გამოიკვეთა, თხევადი აირის რეალიზაცია კილოგრამებით თელავის მუნიციპალიტეტში მომწოდებელი კომპანიების მიერ არ ხორციელდება.

ქვეპროგრამის ასამოქმედებლად აუცილებელია, რომ თხევადი აირის მოცულობა კილოგრამის ნაცვლად განისაზღვროს ლიტრით, თითოეულ ოჯახზე ყოველთვიურად 15 ლიტრის ოდენობით.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე წარმდგენი გახლავთ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი.